

"სათკუპაციო რეჟიმს სურს დააკვირდეს, რამდენი თსი მოსახლე გადმოტრახავს სათკუპაციო ხაზს"



სოფელ ხურვარეთთან რუსმა ოკუპანტებმა დღეს დიდიდან სამუშაოები განაახდეს და ხურვარეთსა და ოკუპირებულ სოფელ ძუკაანთვარს შორის სავარაუდოდ რკინის კონსტრუქციის სათვართვარო კოშკურას ამონტაჟებენ.

„საუბედუროდ, 2008 წლის დია სამხედრო ოკუპაციის შემდეგ, სათკუპაციო ხაზების გასწვრივ ასეთი ხერხეზური ბარიკადების მშენებლობა გრძელდება. ე.წ. საგუშაგო თუ მავთუდხარტების მონაკვეთები, ეს ყველაფერი არის ადამიანებისთვის გამოცხადებული ყოველდღიური ბრძოლა სათკუპაციო რეჟიმის მხრიდან. ეს განსაკუთრებით ცინიკურია იმ ვითარებაში, როცა ცხინვარის მიმართულებით ერთადერთ ე.წ. გადასასვლელ პუნქტზე შეზღუდულია მოძრაობა. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ახარგორში მცხოვრები ქართველებისთვის, არამედ ოსებისთვის. ისედაც 80 %-ით დაცარიელებული ცხინვარის მოსახლეობისთვის სათკუპაციო რეჟიმმა ფაქტობრივად ერთადერთი სასუნთქი გზა გადაკეტა.

სრულიად მორიდების გარეშე, მაგათი „სპუტნიკი“ აცხადებდა იმას, რომ მიმდინარე წელს 40 ადამიანი დააკავეს და ბუნებრივია, მათგან 90 % არიან ადამიანები, რომლებიც ცხინვარის რეგიონიდან ცდილობენ გადმოვიდნენ კონტროლირებად ტერიტორიაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებებისთვის და ამაზე მეტი ცინიზმი,

ფაქტობრივად წარმოუდგენელია“,- განაცხადა ციხელაშვილმა.

მისი თქმით, საოკუპაციო რეჟიმი ახლა ე.წ. საგუშაგოებს ამონტაჟებს, რომ ბენოდა გააძრიეროს და კიდევ უფრო კარგად დააკვირდეს, რამდენი ჩვენი ოსი მოსახლე ცდილობს გადმოღახოს საოკუპაციო ხაზი კონტროლირებად ტერიტორიაზე.

“შესაბამის უწყებებს ჰქონდათ შეხვედრა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, რომელიც პატრულირებს მხოლოდ ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რადგან სამწუხაროდ, არ ეძღვეათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის საშუალება . რა თქმა უნდა, ინფორმირებული არიან თანათავმჯდომარეები, მათ შორის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც ახლა იმყოფება საქართველოში.

ხვად არის ერგნეთში ჩანიშნული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მორიგი შეხვედრა. ბევრ სხვა მწვავე საკითხთან ერთად, ეს უახლესი ეპიზოდები, რომელიც პირდაპირ მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებს, იქნება დაყენებული“,- განაცხადა ციხელაშვილმა.